

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



თებერვალი

2022



**ელექტროენერჯის
ბაზრის მიმოხილვა**

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

ავტორები:

ნორბერტო პინიატი
უფროსი ეკონომისტი

✉ n.pignatti@iset.ge

გურამ ლობჯანიძე
აკვლევარი

✉ guram.lobzhanidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე
აკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2022 წლის თებერვალში ელექტროენერჯის გამოშვება წლიურად 29%-ით გაიზარდა, ხოლო ტვიური მაჩვენებელი 13%-ით შემცირდა.
- ელექტროენერჯის მოხარება წლიურად 12%-ით გაიზარდა, ხოლო ტვიურად – 13%-ით შემცირდა.
- მოხარება გამოშვებას 311 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც თებერვლის ტვის სრული წარმოების 35%-ია.
- წლიური იკორტი 14%-ით შემცირდა.
- იკორტში მთავარი პარტნიორი ქვეყანა რუსეთი იყო.
- რუსეთიდან იკორტის ფასი ერთ კილოვატსაათზე 0.33 თეთრია.
- იკორტის საშუალო შეწონილი ფასი ლარში წლიურად 51%-ით, ხოლო ტვიურად – 2%-ით გაიზარდა.
- ექსპორტის უკიდურესად დაბალი დონის მიუხედავად, ექსპორტში მთავარი პარტნიორი თურქეთი იყო.
- ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი კილოვატსაათზე 22.87 თეთრი იყო.
- 2021 წლის აპრილიდან საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი 2022 წლის თებერვალში კონსტანტურად გაიზარდა და 1324-ს მიაღწია. ის უფრო მაღალი იყო 2021 წლის თებერვლის (1104) და უფრო მაღალი იყო 2022 წლის იანვრის (1381) მნიშვნელობებთან შედარებით. საქართველოს ელექტროენერჯის მოხარების ბაზრის HHI მაღალკონსტანტურად გაიზარდა ქვემოთ
- დარჩა. 2020 წლის საქებმარი (ინდექსის მნიშვნელობა – 2522) ბოლო ტვი იყო, რომლის განმავლობაშიც ინდექსის მნიშვნელობა მაღალკონსტანტურად გაიზარდა და ახლა. მას შემდეგ ინდექსის ტანდენსია დადებითი გახდა, თუმცა 2021 წლის ოქტომბრიდან მას ზრდა დაიწყო და 2022 წლის იანვარში 2015-ს მიაღწია. 2022 წლის თებერვალში ის პირველად შემცირდა ოქტომბრის შემდეგ და ინდექსის მნიშვნელობა 1949-ს გაუტოლდა

შემოკლება

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰენი	ჰიდროელექტროსადგური
თენი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდლის ინდექსი
თელვიკო	თბილისის ელექტრომომარაგებელი კომპანია
ეკ ზორჯია	ეკ ზორჯია მინერალისტი


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის თებერვალში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 890 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 29%-იან ზრდას წარმოადგენს (2021 წლის თებერვალში სრული წარმოება 692 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების ყოველწლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (24%), თბოელექტროსადგურების (34%), მაშინ როცა ქარის ენერჯის წარმოება 7%-ით შემცირდა ზრდამ განაპირობა.

თვიური გამოთვლებით, წარმოება, დაახლოებით, 13%-ით შემცირდა (2022 წლის იანვარში სრული წარმოება 1024 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების ყოველთვიური კლება ჰიდროელექტროელექტროსადგურების (14%), თბოელექტროსადგურების (13%) და ქარის ენერჯის (18%) კლებამ გამოიწვია.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1373 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (16%-ით მეტი 2021 წლის თებერვალთან შედარებით და 2%-ით მეტი 2022 წლის იანვართან შედარებით) (დიაგრამა 1). 2022 წლის თებერვალში ენერჯის მოხმარებამ წარმოებას 349 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 34%-ს შეადგენდა (2021 წლის თებერვალში მოხმარებასა და წარმოებას შორის სხვაობამ 374 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების დაახლოებით 46%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ESCO


წარმოების უდიდესი წილი თბოელექტროსადგურებზე (თესი) მოდის. 2022 წლის თებერვალში თესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 444 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 50%), ჰიდროელექტროსადგურების (თესების) წარმოება – 441 მილიონ კილოვატსაათს, ხოლო ქარის ენერჯის წარმოება – 5 მილიონ კილოვატსაათს (სრული გამომუშავების 50% და 1%-ზე ნაკლები, შესაბამისად) (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 35% გამოიმუშავეს (156 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, – 56% (244 მილიონი კილოვატსაათი) და 9% (41 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით




თბოელექტროსადგურებიდან მტკვრის თესმა 139 მილიონი კილოვატსაათის ენერჯია გამოიმუშავა, რაც სრული თბოელექტროენერჯის 31%-ს და სრულად წარმოებული ენერჯის 16%-ს უდრის. გარდაბანი 1-მა 145 მილიონი კილოვატსაათის ენერჯია გამოიმუშავა – სრული თბოელექტროენერჯის 33% და სრულად წარმოებული ენერჯის 16%, ხოლო გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 148 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია – სრული თბოელექტროენერჯის

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა

33% და სრულად წარმოებული ენერჯის 17%. თბოელექტროენერჯის დარჩენილი 12 მილიონი კილოვატსაათი კი Gpower-მა და თბილსრესმა გამოიმუშავეს (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4

- დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიანი გამომუშავების პროცენტში




წყარო: ESCO

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯას, ვარდნილჰესმა 19 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯის 12% და სრული წარმოების 2%). ენგურჰესმა 66 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯის 42%-ს და სრული წარმოების 7%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5


- ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ESCO

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2021 წლის თებერვალთან შედარებით 29%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).


დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)



წყარო: ESCO

ელექტროენერჯის მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერჯო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (29% – 347 მილიონ კილოვატსაათი), აფხაზეთი (25% – 300 მილიონ კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (21% – 247 მილიონ კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (25% – 306 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). წლიური მოთხოვნა აფხაზეთისგან (8%), თელასისა (10%) და პირდაპირი მომხმარებლებისგან (47%) გაიზარდა, ხოლო ენერჯო-პრო ჯორჯიასგან (-2%) - შემცირდა. საერთო ჯამში, 2022 წლის იანვარში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 16%-ით გადააჭარბა 2021 წლის თებერვლის მოხმარებას (დიაგრამა 8).

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით




წყარო: ESCO

¹ ენერჯო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა. 2021 წლის ივლისიდან კი ელექტროენერჯის მიწოდებაზე ეპ ჯორჯიას პასუხისმგებელია.

² 2021 წლის ივლისიდან ელექტროენერჯის მიწოდებაზე პასუხისმგებელია თელმიკო.

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ESCO

2022 წლის თებერვალში საქართველომ 357 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯის იმპორტი განახორციელა (2021 წლის თებერვლის 414 მილიონ კილოვატსაათთან შედარებით). ენერჯის 62% რუსეთიდან იქნა იმპორტირებული, 20% სომხეთიდან, 18% კი – აზერბაიჯანიდან (დიაგრამა 9). 2022 წლის თებერვალში საქართველომ 1 მილიონ კილოვატსაათზე ნაკლები ელექტროენერჯის ექსპორტი განახორციელა, რომელიც სრულად თურქეთის მიერ იქნა იმპორტირებული (2021 წლის თებერვალში ექსპორტი თითქმის ნულოვანი იყო) (დიაგრამა 10). 2022 წლის თებერვალში 168 მილიონი კილოვატსაათის ენერჯის ტრანზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან თურქეთში (2021 წლის თებერვალში ტრანზიტი არ ყოფილა).


2021 წლის თებერვალთან შედარებით, იმპორტი 14%-ით შემცირდა, ხოლო ექსპორტი 17-ჯერ გაიზარდა (ეექსპორტი გამოწვეულა დაბალ რიცხვებით).

დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ESCO


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ESCO


2022 წლის თებერვალში ელექტროენერჯის იმპორტი 12%-ით შემცირდა 2022 წლის იანვარის მონაცემებთან შედარებით (დიაგრამა 11). ელექტროენერჯის ექსპორტი 89%-ით შემცირდა 2022 წლის იანვრის მონაცემებთან შედარებით და საერთო სურათში ექსპორტის მაჩვენებელი კვლავ დაბალი რჩება (დიაგრამა 12). თებერვალი ზედიზედ მეოთხე თვე იყო, რომელიც გამომუშავება-მოხმარების დეფიციტით დასრულდა 6-თვიანი სიჭარბის პერიოდის შემდეგ.

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ESCO

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ESCO

1. საბაზრო ოპერაციები

2022 წლის თებერვალში ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 70% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 30% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ESCO

2022 წლის თებერვალში საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 19.7 თეთრი კილოვატსაათზე, რაც წლიური ზრდის 26%-ს შეესაბამება 2021 წლის თებერვალთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო ფასს, დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის ის 4.7 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2021 წლის თებერვლის მონაცემებთან შედარებით 62%-იანი კლების ტოლფასია (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ESCO

2022 წლის თებერვალში, გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით 15.11 მილიონი ლარი იყო, რაც წარმოადგენს 7%-იან ზრდას 2021 წლის თებერვალთან შედარებით (დიაგრამა 15).

დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



Source: ESCO

2022 წლის თებერვალში ელექტროენერჯის იმპორტის საშუალო ფასი აშშ დოლარში წლიურად 67%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში – დაახლოებით 51%-ით (2021 წლის თებერვალში არსებული 1.73 ცენტიდან ან 5.74 თეთრიდან კილოვატსაათზე – 2.89 ცენტამდე ან 8.70 თეთრამდე კილოვატსაათზე 2022 წლის თებერვალში – დიაგრამა 16). იმპორტის საშუალო ფასი თვიურად აშშ დოლარში 4%-ით, ხოლო ლარში 2%-ით გაიზარდა (2022 წლის იანვარში ფასი 2.78 ცენტს ან 8.55 თეთრს შეადგენდა ერთ კილოვატსაათზე). 2022 წლის თებერვალში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი წლიურად აშშ დოლარში 44%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში – დაახლოებით 31%-ით (2021 წლის თებერვალში არსებული 5.29 ცენტიდან ან 17.52 თეთრიდან კილოვატსაათზე – 7.60 ცენტამდე ან 22.87 თეთრამდე კილოვატსაათზე 2022 წლის თებერვალში – დიაგრამა 16). ექსპორტის საშუალო ფასი თვიურად 1%-ით გაიზარდა აშშ დოლარში და 1%-ით შემცირდა ლარში (2022 წლის იანვარში ფასი 7.51 ცენტს ან 23.13 თეთრს შეადგენდა ერთ კილოვატსაათზე).

დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




■ იმპორტის შეწონილი ფასი ■ ექსპორტის შეწონილი ფასი

წყარო: ESCO


2022 წლის თებერვალში ელექტროენერჯის იმპორტის ფასი კილოვატსაათზე სომხეთიდან 7.45 ცენტს ან 22.41 თეთრს შეადგენდა, აზერბაიჯანიდან – 7.40 ცენტს ან 22.26 თეთრს, რუსეთიდან კი – 0.11 ცენტს ან 0.33 თეთრს (დიაგრამა 17).

დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2022 წლის თებერვალში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი თურქეთში 7.60 ცენტს ან 22.87 თეთრს შეადგენდა (დიაგრამა 18).


დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2. ბაზრის კონცენტრაცია


დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს ვიყენებთ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2022 წლის თებერვალში საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზრის ინდექსი კონცენტრირებულ და არაკონცენტრირებულ ბაზრებს შორის ზღვარს ქვემოთ დარჩა (ზედიზედ მეორე თვე) და HHI 1324 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2021 წლის თებერვლის (HHI 1104 ერთეული) მაჩვენებელზე მეტი და 2022 წლის იანვრის მაჩვენებლებზე დაბალია (HHI 1381 ერთეული). რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2022 წლის თებერვალში HHI მოხმარების ინდექსი მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 1949 ერთეულს გაუტოლდა (2021 წლის თებერვლის მაჩვენებელსა და 2022 წლის იანვრის მაჩვენებელზე – შესაბამისად 2295 და 2015 – დაბალი). რეალურად 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო. მას შემდეგ კი, მოხმარების საბაზრო კონცენტრაციის სეგმენტში დადმავალი ტენდენცია აღინიშნება. სურათი 2021 წლის სექტემბრის შემდეგ შეიცვალა და ბოლო 4 თვის განმავლობაში მცირედით მზარდი დინამიკა აღინიშნება (დიაგრამა 20). ამ პერიოდში, თებერვალ გახდ პირველ თვე, როდესაც ინდექსის მნიშვნელობა შემცირდა წინა თვისთან შედარებით

დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ESCO

დიაგრამა 20 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ESCO